# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 138 ოთხშაბათი, 24 ივნისი 1909 წ. № 138



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



ხუთშაბათს, 25 ივნისს, დილის 10 საათზე, სოფელ ძევერის (გორის მაზრა) წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის ექიმის

## ლუკა ანტონის ძის ჯავახიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ ძმა და და მისნი მღ. ნიკოლოზ ანტონის ძე და ელისაბედ ანტონის ასული ჯავახიშვილები. (1—305—1)



უდროოდ გარდაცვალებულ

## ლეონიდ კიზირიას

გულ-დამწვარნი ქირისუფალნი უღრმეს და გულითად მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც პატივი სცა დასაფლავების და საორმოცო პანაშვიდზე დასწრებით და ანუგეშა წერილით ან დეპეშით. **პავლე კიზირია.** (1—კვ.—1)



ღრმად შეწუხებული დედ-მამა **ვასილ სოფრომის ძე** და **ელისაბედ იაგორის ასული**, ბიძები ექიმი **ერმილე სოფრომის ძე** და მღვდელი **ლუკა სოფრომის ძე**, ძმა **ბეჟან ვასილის ძე** და დები **ლეო** და **თამარ ვასილის ასულნი ხუნდაძენი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ კვირას, 21 ივნისს დილით გარდაიცვალა ექიმი

## გიორგი ვასილის ძე ხუნდაძე.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 25 ივნისს, და პანაშვიდები ყოველ დღე დილა-საღამოთი. ცხედრის გამოსვენება დილის 11 საათზე წმ. კვირიკეს ეკლესიაში. (2—308—2)



ამხ. „სორაპნის" გამოცემა

## „ახალი ჩანგი"

20 ამ თვისთვის ვეღარ გამოვიდა, რადგან წიგნის სიპატარავის გამო განმრახული მასალა აღარ ჩაეტია, ხოლო შემოკლებით გამოცემა წიგნისა კი უხერხულად გვან თ. ამიტომ „ახალი ჩანგი" გამოვა დიდი ზომის წიგნად, ე. ი. იქნება 450 გვ. და შეიძლება მეტიც. წიგნში ჩართული იქნება 50-ზე მეტი სურათი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მრავალი ახალი ვინეტკა განგებ «ახალი ჩანგისათვის» ამოჭრილი. ხელის მომწერთათვის ეს წიგნი ეღირება 50 კაპ., **ვისაც 25 კაპეიკი გადახდილი აქვს, მან კიდევ 25 კაპ. უნდა დაუმატოს. ვინც არ მოისურვებს 25 კაპ. დამატებას, მას შეუძლია თავისი 25 კაპ. უკანვე წაიღოს.** ფულის უკანვე მიღება და დამატება შეიძლება იმ აგენტთან, სადაც ნაყიდია „ახალი ჩანგის" კვიტანციები. ფულის დამატება შეიძლება **ივლისის 10 რიცხვამდის.** ვინც ამ ხნის განმავლობაში 25 კაპ. არ დაუმატებს, მას წიგნი აღარ მიეცემა, მხოლოდ პირველად შემოტანილი ფული 25 კაპ. დაუბრუნდება უკან, როცა მოითხოვს. ვისაც ფოსტის საშუალებით აქვს გამოწერილი, მათაც ამნაირის წესით უნდა დაუმატონ.—ვინც 10 ივლისამდე არ დაუმატებს, მას თავისი მარკები უკანვე გაეგზავნება.

რადგან „ახალი ჩანგი" დიდი ზომის წიგნია და დაუკაზმავად უხერხული სახმარი იქნება, ამიტომ ჩვენ ვაკეთებინებთ ყდებს. ყდები საუკეთესო „რიპსის" კალენკორისაგან იქნება გაკეთებული, მოვარაყებულის წარწერებით. ხელის მომწერთათვის ყდა ეღირება 25 კაპ. (ამნაირი ყდა ცალკე წიგნის 50 კაპ. ღირს). ვისაც ენებება, რომ წიგნი ყდიანი მიიღოს, მან უნდა დაუმატოს სულ 50 კაპ.

«ახალი ჩანგი» ცალკე გასასყიდადაც გამოვა. ყდიანი ეღირება 1 მ. 25 კაპ. ახალი ხელის მომწერლები აღარ მიიღებიან. „წიგნი გამოვა ივლისის დამლევს». ფოსტის ადრესი: Тифлисъ т-во „Сорапанъ" М. Гачечиладзе. (7—6.—1)



**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. ვედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 95)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჯალის ქუჩა, N 41, სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—109)



ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ზ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს,

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—92)



**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება. კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოფრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—177)



**გამოვიდა პირველი, მეორე და მესამე ნომერი** სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის

## „მოსავალი"-სა

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წელიწადში ჟურნალი ღირს—3 მ., მდგომარე წლის პირველ ივნისიდან—2 მ., ცალკე ნომერი ხელზე გასასყიდად—10 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ბაღში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

რედაქციის ადრესი წერილებისათვის და დეპეშებისათვის: Тифлисъ, „Мосавали", Барятинская, 5. (7—6.—7)



## იყიდება

სოფ. **ხეთას** ზუგდიდში მიმავალ შარა გზასთან ერთ ფარგალში შემოკავებული სამოსახლო საავარაკო **მამული** ვენახით, ბაღით, დაფნის, აკაციის, წაბლის, რცხილის და სხვ. ტყით გარშემოვლებული. ეზოშიეეა სახნავ-სათესი ადგილები და საცხოვრებელი ოდა. მამული ზომით 16—18 ქცევაა.

პირობების გაგება შეიძლება ქუთაისში ჟურნალ-გაზეთების კანტორა „**იმერეთი**"-ში და თვით ხეთაში ბეგლარ და თომა კობახიძეებთან. (3—კვ.—3)



## მომავალი 1910 წლის კედლის კალენდარი „განთიადი"

**ამ ცოტა ხანში დაიწყება ბეჭდვა და დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა გასასყიდათ**

კალენდარი, როგორც ქვემო დაბეჭდილ ნიმუშიდან სჩანს, დიდი ზომისა იქნება და ეღირება თითო 40 კაპ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 25% დაკლებით.

რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, თუ რამდენია საჭირო კალენდრის დაბეჭდვა, ამისთვის ვთხოვთ წიგნის მაღაზიებს და გამყიდველებს ამა წლის 20 ივლისამდე გვაცნობონ ყველამ, ვის რამდენი ცალი დასჭირდება. ამასთანავე უნდა წარმოადგინონ ბედ რაოდენობის მიხედვით 25%, რათა ტყუილად არ დაგვირჩეს დაბეჭდილი.

ადრესი: ტფილისი, ვანქის დიდი ქ., N 12. სტამბა „სინათლე", კედლის კალენდარის „განთიადისთვის".

**იანვარი (31 დღე)—აპანი**

მზე: ამოდის 7 საათ. 25 წთ. ჩადის 4 საათ. 56 წთ.

# 6

მთვარე: ღვლის 4 ს. 13 წთ. სრულდება 12 დღისა.

ახალი სტილით 19

მე-6 დღე წლის თავიდან. რჩება 359 დღე წლის დამლევამდე

## ოთხშაბათი

**მართლ-მად.** † წმ. განცხადება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ნათლისღება).

**კათოლიკეთა.** † ნათლის-ღება უფლისა. კასპრის, მელხიორი და ბალტაზარის.

**გრიგორ.** † შობა და ნათლის-ღება უფლისა იესო ქრისტესი.

უახლოესი უქმე (გარდა კვირისა) ხუთშაბათი, 14 იანვარი.

● ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობა ●

ტფილისში, ვანქის ტაძართან, წყლის კურთხევის შემდეგ, როდესაც იორდანიდან დაბრუნდა სამღვდელოება და ხალხი, ჩატყდა ხიდი და მტკვარში ჩავცვიდა 300 სული, რომელთა შორისაც 40-მდე წყალმა დაახრჩო 1892 წ.

მალოროსია შეუერთდა მოსკოვის სამეფოს 1654 წ.

**განაჩენი იესო ქრისტეზე.**

იტალიის ქალაქ კესარიის მახლობლად უპოვნიათ პატარა ლითონის ფიცარი, რომელზედაც დაწერილია იესო ქრისტეზე დადგენილი სასიკვდილო განჩინება. განჩინება დაწერილია ძველ ურიულ ენაზე. განჩინება, დადგენილია ქვემო გალილიას მმართველის პილატეს მიერ, ამბობს შემდეგს:

«იესო ნაზარეველი უნდა მოკვდეს ჯვარზე კეისარი ტიბერის მეფობის მე-17 წელს, 25 მარტს, იერუსალიმის წმიდა ქალაქში, მეუფის მღვდლებათა და მღვდელ-მთავრებათ ანნასა და კაიაფასა ყოფნის დროს. პონტოელი პილატე ქვემო გალილიასი და პატონის დედა-ქალაქის მმართველი სჯის იესო ნაზარეველს ჯვარზე სიკვდილით ორ ავაზაკ შუა, რადგან ცნობილი და გამოჩენილი პირნი მოწმობენ, რომ 1. იესო ხალხს აქეზებს; 2. იესო მეამბოხეა; 3. იესო კანონების მტერია; 4. იესო თავის-თავს სიცრუეთ უწოდებს «ძე ღვთისად»; 5. იესო თავის თავს სიცრუეთ აცხადებს «მეფედ ისრაელისა»; 6. იესო დაფნის ტოტით ხელში ურიცხვი ხალხით გარემოცული ხაყდარში შევიდა. პონტოელი პილატე უბრძანებს ცენტურიონს კორნელი კვირილინს, მიაცილოს ის სასჯელის ადგილს და განდევნოს ყველა დავრდომილნი და მდიდარნი, რომელნიც იესოს სიკვდილს წინააღუდგებიან. იესოს სიკვდილით დასჯის განჩინებას ხელი მოაწერეს შემდეგმა მოწმეებმა: 1. დანიელ რობანი, ფარისეველი, 2. იოანე ზარამატელი, 3. რაფიელ რობანი, კაპერი მწიგნობარი. იესოს მიიყვანენ იერუსალიმიდან სასჯელის ადგილზე სერენას კარებიდან».

**დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი**

ამაოდ დავეძებთ სიმართლეს: ადამიანთა ვერაგობამ დიდი ხანია იგი ცრემლად დაადნო. ამიტომ, სადაც ჭეშმარიტი ცრემლი იღვრება, სიმართლეც ოდნავ იქ გაიბრწყინებს ზოგჯერ.


## ტფილისი, 24 ივნისი

კავკასიის ნამესტნიკის ყოველ ჩასვლაზე პეტერბურგში გაზეთები იტყობინებიან ხოლმე, რომ მთავრობას ბჭობა ექნება კავკასიის რეფორმებზედ ნამესტნიკის თანადასწრებით. შარშან მართლაც გაიმართა ასეთი ბჭობა. მაგრამ შედეგს ვერავითარს ვერ მოვესწარით, თუმცა ეს ოთხი წელიწადია აგერ განსაკუთრებით კავკასიის რეფორმებზე ლაპარაკი არ მოსპობილა არც ცენტრში, არც ადგილობრივ. ახლაც, ჩავიდა თუ არა გრ. ვორონცოვ-დაშკოვი პეტერბურგს, ისევ შეიქნა ლაპარაკი კავკასიის რეფორმებზე: ზაფხულის დასასრულს გაიმართება ამათზე თათბირი მინისტრთა საბჭოში კავკასიის ნამესტნიკის თანადასწრებითაო. ვფიქრობთ, რომ ახლაც ეს თათბირი უნაყოფო და უშედეგო გამოვა ბევრ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, რომელნიც არა ერთხელ დაგვისახელებია...

რომ ჩვენი წინასწარმეტყველება უსაფუძვლო არაა, ამას ერთი გარემოება გვიმტკიცებს ნათლად. უმთავრესი რეფორმა, რომელიც ამიერ-კავკასიისთვის არის განზრახული, ერობის შემოღებაა. ეს რეფორმა აღგვითქვა ნამესტნიკმა თავის დეკლარაციაში, რომელიც ტელეგრაფით გამოგზავნა თავის დანიშვნის შემდეგ; ამ რეფორმას უჭირავს ცენტრალური ადგილი მისავე უქვეშევრდომილეს მოხსენებაში 1907 წ.; ამავ რეფორმის აუცილებელ საჭიროებაზე და დაუყოვნებლივ შემოღებაზე მესამე სათათბირომაც რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი. ასე რომ, თუ მართლა მიდგა ჯერი კავკასიის რეფორმებზე, პირველი მორიგი ადგილი უთუოდ ერობამ უნდა დაიჭიროს... მაგრამ სწორედ პეტერბურგში გამგზავრების წინა დღეებში კავკასიის ნამესტნიკმა გამოსცა ცირკულიარი ერობის რეფორმის გამო ცნობების შეკრებისა და მასალის შემუშავების შესახებ. ჯერ ასეთი შეკრება-შემუშავება არ დაწყებულა და ძალიანაც საეჭვოა, რომ ამ ზაფხულს შეუდგნენ ცირკულიარის ასრულებას. მაშასადამე, ზაფხულის ბოლოსთვის, როცა განზრახულია მინისტრთა საბჭოს თათბირი კავკასიის რეფორმებზე, მზად არ იქნება ადგილობრივ შემუშავებული მასალა, რომელსაც ხსენებული ცირკულიარი საჭიროდ სთვლის საკითხის გადაწყვეტისთვის... ეს ერთი გარემოება გვიჩვენებს, რომ არც ცენტრს, არც ადგილობრივ უმაღლეს მმართველობას საკითხის გადამწყვეტი თათბირი არ ექნებათ, „ზაფხულის ბოლოს" პეტერბურგში. მართლაც, პრინციპიალური სჯა-ბასი ხომ არ ექნებათ რეფორმებზე? პრინციპიალურად, უნდა ვიგულისხმოთ, ეს რეფორმები უკვე მოწონებულია და მიღებული. საქმე პრაქტიკულ მხარეებშია, ხოლო ამ მხრით მთავრობა ჯერ მზად არაა, როგორც ამას ცირკულიარის გამოქვეყნება გვიმტკიცებს.

დაახლოვებით ესვე უნდა ითქვას სხვა რეფორმებზედაც, რომელთა განხორციელება აღთქმული იყო ხსენებულს დეკლარაციაში და 1907 წლის ნამესტნიკის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში. საზოგადოებამ არ იცის, არსებობს თუ არა უკვე შემუშავებული კანონპროექტი რომლისამე მთავარ რეფორმისა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ამ საქმეთაგანი უკვე კარგა ხანია განზრახულია, როგორც მაგალითად, გლეხთა დროებით ვალდებულობის ინსტიტუტის გაუქმება, ჩვენ დღესაც არ ვიცით—აქვს ადგილობრივ მმართველობას შემუშავებული პროექტები თუ კიდევ დასჭირდება მასალის შეგროვება და მათი შემუშავება, „ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალთა დახმარება"?..

ასე თუ ისე, არა გვგონია ვისმეს რაიმე იმედი უღვივოდეს გულში მთავრობის განზრახვების გამო. კავკასიის რეფორმები რაღაც დაუსრულებელ ზღაპრად გადაიქცა: თითქო ყველას გადაწყვეტილი აქვს მათი **დაუყონებლივი** განხორციელება, მაგრამ როგორც-კი საქმე საქმეზე მიდგება, მაშინვე თავიდან იწყება ზღაპარი: მასალა უნდა შეგროვდესო და ადგილობრივმა დაწესებულებმა უნდა თავისი აზრი გამოსთქვანო და ასე დაუსრულებლივ საინტერესოა, რომ ოქტომბრისტების ლიდერმა, ა. ი. გუჩკოვმა, ლონდონშიაც-კი საჭიროდ დაინახა იმის გამოცხადება, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვსო განაპირა ქვეყნებში დაუყონებლივ შემოიღოს ადგილობრივი თვით-მართველობაო. თუ ასე ბეჯითია ეს განზრახვა, რომ ინგლისშიაც საჭირო შეიქნა იმაზე ლაპარაკი, რაღა აბრკოლებს საქმეს?

უბედურებაც ის არის, რომ დღესაც, როგორც 17 ოქტომბრის წინედ, რუსის ბიუროკრატია მხოლოდ ამზადებს რეფორმებს, მაგრამ მათ განხორციელების არც უნარი აქვს, არც სურვილი. განა მარტო კავკასიის რეფორმებია ამ მდგომარეობაში? მთელი რეფორმატული მოღვაწეობა რუსეთის ბიუროკრატიისა მშვენიერად აქვს დახასიათებული რუსის ხალხს ერთ ხუმრობაში, რომელსაც სახელად ეწოდება „сказка про бѣлаго бычка"... სანამ რეფორმატულის მოღვაწეობის, სანამ რუსეთის საკანონმდებლო ჩარხის დამტრიალებელი ბიუროკრატია იქნება, მანამდის ამაოდ დარჩება ყოველი ლაპარაკი რეფორმებზე, მათ შორის კავკასიის რეფორმებზედაც...

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ივნისი

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** რუსეთის საკონსულოს წარმომადგენელი ბარანოვსკი და ინგლისის ატაშე სტოკსი იუწყებიან შახ-აბადიდან: სპარსეთის მთავრობის ჯარმა ფიდაები დაამარცხა და უკუაქცია. სპარსელ ყაზახებს მოუკლეს ერთი აფიცერი და სამი ჯარის-კაცი, ხოლო დაუჭრეს ორი ჯარის-კაცი. ფიდაებს მოუკლეს თორმეტი კაცი.

**ლონდონი.** რეიტერს თეირანიდან ატყობინებენ: სერდარ ასადი ათასი კაცით ამ ჟამად 12 მილის მანძილზეა შახ-აბადიდან. ასადს აზრადა აქვს შახ-აბადში სეპეხდარის რაზმს შეუერთდეს. ხმა დადის, ვითომ ასადს ინგლისის ელჩისთვის ეთქვას, არა ვფიქრობ შაჰის წინააღმდეგ წავიდეო.

**ლონდონი.** იმ ნოტის გამო, რომელიც რუსის მთავრობამ გამოსცა სპარსეთის საქმეების შესახებ, გაზეთი „ტაიმსი" სწერს: რუსეთის ნოტა მეტად ძლიერია თავის საბუთებით. ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ იმისა, რაც რუსეთს სპარსეთში განუზრახავს, რადგან რუსის მთავრობის მოქმედება საქმის ვითარებით არის გამოწვეული. ამავე დროს ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ სპარსელ რევოლიუციონერთა უაზრო მოქმედებამ გამოიწვია იმ ზომების მიღება, რომელთა უხერხულებასაც, როგორც ჩვენა ვფიქრობთ, თვით რუსის მთავრობაცა ჰგრძნობს.

**პეტერბურგი.** გარტვიგი, რომელიც რუსეთის ელჩად იყო სპარსეთში, სერბიაში დაინიშნა ელჩად. სპარსეთში, გარტვიგის ადგილზე, დაინიშნა ლონდონის ელჩის მრჩეველი პოკლევსკი-კოზელი.

### საზღვარ-გარედ.

**ბერლინი.** ძირითადი მუხლი მთავრობის კანონ-პროექტისა შესახებ სახელმწიფოს უფლებებისა მემკვიდრეობაზე რეიხსტაგმა არ მიიღო.

**ჰაშტეინი.** იმპერატორის ფრანც-იოსების თანადასწრებით გაიხსნა სპიტალ-ჰაშტეინის რკინის გზა, უკანასკნელი პუნქტი ალპების ახალი რკინის გზებისა.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის პარლამენტმა კომისიას გადასცა საქმე დეპუტატის ნოვოსელისა, რომლის ხელ-შეუხებლობაც დარღვეულ იქმნა სასამართლოს დადგენილებით. სხდომის დროს ისმოდა პროტესტები ხორვატიაში გახშირებულ ტერორის წინააღმდეგ.

**ბუდაპეშტი.** „კორესპ.-ბიურო" იუწყება: მინისტრთა საბჭომ მეფის სურვილის გამო, რომ შემოდგომამდის სამსახურიდან გადადგომილმა კაბინეტმა განაგრძოს მუშაობა, განაცხადა, ეს წინააღმდეგი იქნება ძირითად კანონებისა. საბჭოს საჭიროთ მიაჩნია, რომ ახალი, გარდამავალი ხასიათის კაბინეტი შესდგეს. თუ ეს კაბინეტი კარგად ვერ იმუშავებს, მოლაპარაკებას კარგად ვერ წაიყვანს კრიზისის მოსასპობად, შემოდგომის სესიის დაწყებამდე სამსახურიდან გადადგებაო. ეს დადგენილება სამ კოალიციონურ პარტიას მიუღია. თუ მეფემ მოიწონა ეს დადგენილება, მაშინვე განაახლებენ ვეკერლეს სამინისტროს, როგორც დროებითს კაბინეტს.

**ლონდონი.** „ტაიმსის" პირველმა მესაკუთრემ და „დეილი-მეილ"-ის გამომცემელმა ლორდმა ნორსკლიფმა სათათბიროს წევრებს საუზმე გაუმართა, საუზმეს დაესწრნენ ინგლისის პრესის წარმომადგენლები, პარლამენტის ბევრი წევრი და საზოგადო მოღვაწენი.

## რ უ ს ე თ ი

**იურიევი.** დიდის ამბით ჩაიარა ესტონელთა მუსიკალურმა დღესასწაულმა. მონაწილეობას იღებდნენ 2700 კაცი, სოლისტები და დიდი სიმფონიური ორკესტრი.

**პეტერბურგი.** 22 ივნისს პეტერბურგში ხოლერით ავად გახდა 68 კაცი, გარდაიცვალა 27. სულ დღეს ავად არის 677 კაცი.

მოვიდა პეტერბურგში კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

პეტერბურგის მახლობლად, საბლინში, საკუთარ აგარაკზე ვილაცებს მოუკლავთ გენერალ-მაიორი თავადი სულთან-ალიხანი.

სენატმა გააუქმა მოსკოვის სამოსამართლო პალატის განაჩენი, რომლითაც, საგლეხო კავშირის საქმის გამო, გამართლებულ იქნენ ტესლენკო, მწერალი ტანი და ნაფიცი ვექილი ლევიცკი. საქმე კვლავ მოსკოვის სამოსამართლო პალატას გადაეცემა ხელ-ახლა განსახილველად.

**ეკატერინბურგი.** ორენბურგის საბირჟო საზოგადოებამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად აირჩია ვაჭარი იურიევი.

**სმოლენსკი.** მოსკოვიდან მოსულმა სენატორ გარინის უფროსმა მოხელემ გაჩხრიკა ტყავის ქარხნის პატრონი პევზნერი, რომელიც სხვა და სხვა საქონელს აწვდიდა საინტენდანტოს.

**ტამბოვი.** სიხელმწიფო საბჭოს წევრად ერობისაგან აირჩიეს ანდრეევსკი, რომელიც უკვე წევრია საბჭოსი, მხოლოდ თავად-აზნაურობის მიერ არჩეული.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **სამხედრო და საგანგებო წესების მოხსნა.** როგორც პეტ. დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, მთავრობას ბრძანება გაუცია, კავკასიაში სამხედრო და საგანგებო წესების მოხსნის შესახებ. საგანგებო წესები მოიხსნა ქალაქ ბათუმში და კინტრიშის ნაწილში, ხოლო სამხედრო წესები—მთელ კავკასიაში გარდა ქალაქ ტფილისისა და ტფილისის მაზრისა. სამხედრო წესები რჩება აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინის გზის რაიონში. დეპეშა არაფერს გადმოგვცემს იმაზე, თუ იქ, სადაც სამხედრო და საგანგებო წესები მოხსნეს, შემოიღებენ თუ არა სხვა რამ წესებს.

✦ **გორის მაზრის სამღვდელოება და სემინარიის შენობა.** 16 ივნისს მოხდა გორის მაზრის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. სხვათა შორის კრება შეეხო სემინარიის შენობის საკითხს. როგორც ვიცით, „კავკაზში“ იბეჭდება განცხადება სემინარიის შენობის იჯარით გაცემისა ან გაყიდვის შესახებ. დეპუტატებმა იქონიეს მსჯელობა ამაზე და შემდეგი შინაარსის ქაღალდი გაუგზავნეს ტფ. სასულიერო სემინარიის გამგეობას: „გორის მაზრის სამღვდელოების დეპუტატებმა, წაიკითხეს რა გაზ. „კავკაზის“ მე-133 ნომერში დაბეჭდილი განცხადება სემინარიის გამგეობისა ძველ შენობის იჯარით გაცემისა თუ გაყიდვის შესახებ, საჭიროდ სცნეს სთხოვონ ხსენებულ სემინარიის გამგეობას, შეაჩეროს გაყიდვა შენობისა, სანამ ამ ყველასათვის საინტერესო საკითხის შესახებ ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეპარქიო კრება არ გამოსთქვამს თავის აზრს. ამავე საგნის შესახებ აღიძრა შუამდგომლობა მის ყოვლად უსამღვდელოესობის დროებით საქართველოს საექსარხოსოს გამგის, ბაქოს ეპისკოპოსის გრიგოლის წინაშე“.

✦ **საღამო „ტარაზ“-„ალბიურის“ რედაქციაში.** 19 ივნისს, სომეხთა ქათალიკოსის ტფილისში ჩამოსვლის გამო, „ტარაზ“-„ალბიურის“ რედაქციას ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო გაუმართავს. საღამოს, „ზაკავ.“-ს მოწმობით, კარგად ჩაუვლია. იგივე „ზაკ.“ სწერს, რომ საღამოს დაესწრნენ ყველა ადგილობრივი წარმომადგენელნი ლიტერატურისა, ხელოვნებისა და ჟურნალ-გაზეთებისაო. ეს ცნობა სავსებით მართალი არ არის: ჩვენი გაზეთის რედაქციას მიწვევის ბარათი არ მიუღია. მაშასადამე, ვერც მისი წარმომადგენელი დაესწრებოდა საღამოს. არ ვიცით, მიიწვიეს და დაესწრნენ თუ არა სხვა ქართული გაზეთების წარმომადგენელნი.

✦ **ახალი ეგზარხოსი.** „ზაკ“-ს სიტყვით, ხმა დადის, რომ ნამესტნიკის პეტერბურგში ყოფნის დროს გადასწყდება საკითხი საქართველოს ექსარხოსის დანიშვნის შესახებ. ახალ ეგზარხოსს ამ ზაფხულსვე დანიშნავენ. იგი ჩამოვა თურმე აგვისტოს პირველ რიცხვებში.

✦ **მკვლელობა.** ოც ივნისს, სადახლოში თავად მელიქიშვილის ტყის ყარაულებს, ოსებს (ორ კაცს) მოუკლავთ რკინის გზის მოხელენი ბოლდირევი და კონშინი. ესენი სათევზაოდ ყოფილან სადახლოში. ყარაულები სულ უმიზეზოდ წაჰკიდებიან, მერე უქვრიათ ხანჯლები და ორივენი იქვე მოუკლავთ.

✦ **სავალდებულო დადგენილება ქუჩაში ვაჭრობის შესახებ.** გუშინდელ „კავკაზ“-ის ოფიციალურ ნაწილში დაბეჭდილია ტფ. გენერალ გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება. ამ დადგენილების ძალით, აკრძალულია გარედ, ქუჩაში ვაჭრობა ერისთოვის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღიდან დაწყებული ბარონის ქუჩამდე. ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს, დააჯარიმებენ სამას თუმნამდე ან დააპატიმრებენ სამ თვემდე.

✦ **ტრამვაი.** ცენტრალურ სადგურის მუშებსა და ლებონს შორის გამართულმა მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ცენტრალურ სადგურის მუშებს მეტად მცირე უფლებები აქვთ, სახელოსნოს მუშების უფლებებთან შედარებით, ამიტომაც, ლებონის მოთხოვნილება, რომ ეს ისედაც ფრთა შეკვეცილი უფლებები კიდევ შეემცირებინათ, მუშებმა არ მიიღეს, ამიტომ 20 ივნისს ლებონმა ხსენებულ მუშებს გამოუცხადა, რომ ვისაც არა სურს ახალ პირობებში მუშაობა, ხუთი დღის განმავლობაში მიიღოს ანგარიში და მუშაობას თავი დაანებოსო (ჩ.).

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს უკანასკნელი სხდომა მოხდა ორშაბათს, 22 ივნისს. სხდომამ ნაშუალამევის 1 საათამდე გასტანა და კიდეც დაასრულა განხილვა თითქმის ყველა საქმისა. უმრავლესობა განხილულ საქმეებისა მოკლებულია საზოგადოებრივ ინტერესს. საბჭომ, თანახმად გამგეობის წინადადებისა, აირჩია თვით-მმართველობის წარმომადგენლები ტფ. საშუალო სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოებში. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში — ხმოსანი ხუნუნცი, მეორე გიმნაზიაში — ქანანიანცი, მეოთხე გიმნაზიაში—ზიბერტი, მესამე გიმნაზიაში—გ. ი. ხატისიანცი, ავლაბრის გიმნაზიაში—მურადიანცი, ქალთა პირველ გიმნაზიაში—ლ. ტიგრანიანცი, მეორე გიმნაზიაში—სტ. თ. ჰრელაშვილი, მესამეში—ეირანოვი, მე 4-ში—თევ. ა. არგუთინსკი, მე-5 ში—ხმ. ფიშერი, ხოლო რეალურ სასწავლებელში — კანდურალიანცი. საბჭომ 877 მანეთი დაუნიშნა შემწეობად ქალაქის სამკურნალოს აფთიაქის გარდაცვლილ გამგეს ბახჩიევის ობლებს; მიიღო დადგენილებანი გამგეობისა დ. თამამშევის და შამქაროვის სახელობის სასტიპენდიო თანხების შესახებ; დაამტკიცა ხარჯ-აღრიცხვა ქალაქის ლომბარდისა; ნება დართო გამგეობას გაიხსნას მეოთხე განყოფილებანი ავლაბრისა და ნაძალადევის ქალთა სკოლებში. საყურადღებო იყო ამ საღამოს მოხსენება ქალაქის სააუქციონო ზალის გაუქმების შესახებ. სათავად-აზნაურო ქარვასლაში ამას წინად ლისიციანმა და ამხანაგობამ დაარსა კერძო სააუქციონო დარბაზი. ამ ლისიციანმა მოინდომა მონოპოლია შეექმნა და ამ განზრახვით მიმართა ქალაქის გამგეობას: თქვენი სააუქციონო ზალა ზარალის მეტს არაფერს აძლევს ქალაქს, ამიტომ გააუქმეთ თქვენი ზალა და სამაგიეროდ ჩვენ გავძლიერდებით, რისათვისაც წელიწადში შემოსავლის 10⁰/₀-ს გადავიხდით ქალაქის სასარგებლოდაო. ქალაქის გამგეობას მიუღია ეს წინადადება. საბჭოში ასეთმა დადგენილებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. საბჭოს ნებართვით პირველად ამ საკითხზე ილაპარაკა ზალის გამგემ მ. ქ. ყიფიანმა (ხმოსნად არ არის). ყიფიანმა სთქვა, როდესაც მე შევუდექი თანამდებობის აღსრულებას, ზალის საქმეები, წინანდელ გამგის შადინოვის მეოხებით, სულ აწეწილ-დაწეწილი იყო. ანგარიშები არ არის შედგენილი და მე ვერავითარი ცნობა ვერ ვიპოვნე, როგორ იყო საქმე დაყენებული, ეხლა-კი ანგარიშებს ყოველ თვე ვადგენთ და აქედან დარწმუნდებით, რომ ზალის საქმე თანდათან წინ მიდის და მალე ქალაქისათვის სარგებლის მიმცემი იქნება. ზარალის მიზეზი, სხვათა შორის ის არის, რომ შენობაში 2224 მ. ვაძლევთ, მაშინ როდესაც იგი 800 მანეთადაც არა ღირს. ყველა ამის გარდა, ქალაქის თვით-მმართველობას არა აქვს უფლება გააუქმოს სააუქციონო კამერა, რადგანად ძირითად კანონების ძალით ყველა საგუბერნიო ქალაქის თვით-მმართველობანი ვალდებულნი არიან იქონიონ კამერები. თუ საბჭო მოისურვებს კამერისა და ზალის გაუქმებას, ეს მხოლოდ კანონიერის გზით უნდა მოხდესო. ზალის გაუქმების მომხრენი იყვნენ დოლუხანოვი და რამდენიმე სხვა მხოსანი. საბჭომ დაადგინა, დასტოვოს სააუქციონო ზალა.

✦ **მადლობა.** გუშინ ტფ. ქალაქის მოადგილემ ა. ი. ხატისოვმა დეპეშა გაუგზავნა ძმათა ზუბალაშვილებს. ბ-ნი ხატისოვი სწერს, რომ ქალაქის საბჭომ, როდესაც მოისმინა მოხსენება გამგეობისა საბავშვო სასნეულმყოფოს ასაშენებლად 100,000 მანეთის შეწირვის შესახებ, დაადგინა, ულრმესი მადლობა გამოეცხადოს ბ-ნ ზუბალაშვილებს უხვ შემოწირულებისთვის. ქალაქის გამგეობა მალე შეუდგება საავადმყოფოს სადგომის აგებასო.

✦ **დაპატიმრება.** „ეშმაკის მათრახის“ ყოფილი რედაქტორი თეოფილე ბოლქვაძე, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ერთი წლით დაპატიმრება, უკვე ჩასვეს მეტეხის ციხეში.

✦ **სასინოდო კანტორის წევრნი.** სასინოდო კანტორის წევრად დანიშნეს, ლეჟავა-კი არა, როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული, არამედ მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი პიროსი (ოქროპირიძე).

✦ **კანცელარიის მმართველი.** ექსარხოსის კანცელარიის დროებით მართველად დაინიშნა დ. ა. დავითაშვილი.

✦ **სომეხთა ქათალიკოსის წასვლა.** ერთი კვირის სტუმრობის შემდეგ 23 ივნისს სომეხთა ქათალიკოსი მათეოზ მეორე წავიდა ტფილისიდან ეჩმიაძინის მონასტერში.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა აცნობა პოლიციის მოხელეებს, რომ ქალაქის მეტლენი არ ასრულებენ ტფ. საბჭოს მიერ გამოცემულ წესებს, მეტლენი, მაგალითად, რკინის გზის სადგურის[illegible] რომ მიიყვანენ, დროზე ფულს გვ[illegible] იღებენ და ამით აჩერებენ მოძრაობა[ს], მგზავრთა უმრავლესობა მეტლეს წ[ინ] და წინვე არ ისტუმრებსო. პოლიც[მ]ეისტერი მოხელეებს ავალებს, ... განიცდიან რომელსამე მეტლის ... მგზავრის მიზეზით მოძრაობა შეფე[რ]ხდეს, ოქმები შეადგინეს და დამნაშ[ა]ვენი პასუხისგებაში მიეცითო.

✦ ქალაქის კასას 1909 წლის იანვრიდან ივლისის 21 რიცხვებამდე შემოსვლია სატრაქტირო გადასახად[ი]ს—35,788 მან., ცხენებისა და სხ[ვ]ა გადასახადისა—27,296 მან. წყლ[ის] მილისა—87,349 მან., სავაჭრო[ს]ა— 27,979 მან., ჯარიმა სხვა და სხ[ვ]ა გადასახადების დროზე შეუტანლობის 32,023 მან და სხვა.

## ეპისკოპოსი კირიონი სანაქსრის მონასტერში

როგორც ვიცით, ეპ. კირიონ[ი] კურიაჟის მონასტრიდან შუა ზამ[ა]თარში ცივ სანაქსრის მონასტერშ[ი] გადაასახლეს. მასუკან აგერ ნახევარ[ი] მა წელმა განვლო და ეპისკოპოს[ის] შესახებ აღარაფერი ისმის. პირვე[ლ]ად მთელი რუსეთის პრესა ახმა[ურ]და, მაგრამ ბოლოს ყველანი მ[ი]ჩუმდნენ.

თუმცა იქიდან ვგრძნობდი, რ[ომ] ცხოვრებაში იქნებოდა ეპ. კირიონ[ი] სანაქსრის მონასტერში, მაგრამ მსუ[რ]და მაინც ჩემი თვალით მენახა ცოტა ხნით, გამეგო მისი ყოფ[ა] ცხოვრება. გავემგზავრე სანაქსრის[კ]ენ, უკანასკნელ სადგურიდან იმ[ან] მონასტრამდის სამოცდა ათი ვერსია რაც. რასაკვირველია, ეტლით უნ[და] გამევლო. როდესაც ნაშუადღევ[ის] ოთხი საათიდან მეორე დილის დილ[ის] რვა საათამდის ეტლმა მატარ, მაშ[ინ] დავრწმუნდი, რა ტანჯვა უნდა გად[ა]ეტანა მოხუცს, როდესაც მოსკოვ[ის] საავადმყოფოდან ძალზე დასუსტ[ე]ბული გიტაცეს და ცივ ზამთარშ[ი] ამ გზას გაუყენეს.

მივედი მონასტერში. გავეშურ[ე] ერთ სადგომისკენ, რომელიც უფრ[ო] იმის შესაფერ სადგომად მივიჩნი[ე]

# რუსთა შორის

დეპუტატების დაღლილობა და საქმეების გადადება.—ხიმშვიდე რუსეთში და ვირების პატივის-ცემა. „ჭეშმარიტი რუსული“ საქმე და ფქვილის დაკარგვა.—პოლტავის დღესასწაულები და მეგობრების წაჩხუბება.—პურიშკევიჩის დაჭკვიანება და მეფელეტონეების გაჭირვება.

სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს... დასასვენებლად. გასულ სესიაში სერიოზული ბევრი ვერაფერი გავაკეთეთ, ვერ მოვასწარით და შემდეგ სესიისთვის გადავდეთო, როგორც შარშან, ისე წრეულს იტყუებენ თავს და ატყუებენ სხვებსაც „შრომის მოყვარე“ სათათბიროს დეპუტატები. ვერ მოვასწარით, გეფიცებით სინიდის, სერიოზული კანონ-პროექტები უკვე მზად არის, მაგრამ... შემდეგისთვის გადავდეთ. რა ვუყოთ, ჩვენი ბრალი არ არის, შერმის ყველაფერი იქნება.

აი ეს ორი წელიწადია ასე ფიცულობენ „ხალხის ნდობით“ აღჭურვილნი და, მიუხედავად ამისა, როგორც წინად, ეხლაც „დამტვრეულ ვარცლს“ ვერ გავცდით. შარშან, როდესაც ასე ფიცულობდნენ დეპუტატები, ზოგიერთ გულუბრყვილოს სჯეროდა მათი ფიცი და წრევანდელ სესიისაგან ელოდნენ, რასმე მაგრამ... გაუცრუვდათ იმედი, ვერ ეღირსნენ დაპირებულის ასრულებას: დაპირებული შემდეგისთვის გადაიდო. როგორც შარშან, ისე წრეულს დეპუტატებს „პიროვნების ხელშეუხებლობას“, „ადგილობრივ სასამართლოების რეფორმას“ „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას“ და სხვა ამისთანეებით გაბედნიერებას უპირებდნენ რუსეთს, მაგრამ, იმედია, გათავდება თუ არა შემდეგი სესია, დეპუტატები ამ კანონ-პროექტებს შემდეგისთვის გადასდებენ, ვერ მოვასწარითო.

ერთით კი გასამტყუნარნი არ არიან: რა ჰქნან, იმდენი საქმე აქვთ, რომ ამისთანა „წვრილმანებისთვის“ ვერ მოუცლიათ. ხოლო რაც შეეხება უნივერსიტეტებთან სამრეცხველოების მოწყობას, ქალაქებში პოლიციის შტატის გადიდებას. და სხვა ამისთანა „დიდმნიშვნელოვან“ საკითხებს, ძალიან სარასტიანად იქცევიან და მგონი მომავალიც დააფასებს მათ „შრომას და უნარს“!

დიახ, „წვრილმანებს“ შემდეგისთვის გადასდებენ, მაგრამ ამ გადადებასაც ხომ ბოლო უნდა ჰქონდეს, ერთხელ მაინც უნდა გათავდეს, თორემ ვშიშობთ იმ რეცენზენტივით არ დაემართოთ, რომელმაც ერთ არტისტს მთელი წელიწადი უწერა: იმის შესახებ შემდეგისთვის ვილაპარაკებო. არტისტმა ითმინა, ითმინა და ბოლოს ერთი კარგად მიბეგვა ჩვენი რეცენზენტი, აღარ გადასდოო...

*
* *

უნდა მოგახსენოთ, რომ არც თუ საზოგადოების უმრავლესობა ჩამოუვარდება სათათბიროს. არ ჩამოუვარდება თავის „უმოქმედობით“. გეგონებათ, ხალხი სიზმარშია, სძინავს და ამა ქვეყნისა აღარაფერი აღარ აინტერესებს და თუ ზოგჯერ გამოიღვიძებს, იმისთანა რამეებს სჩადის, რომ პირდაპირ გინცვიფრებაში მოდიხართ. ზოგჯერ თუ იღვიძებს ხალხი და რაიმე საქმიანობას ეძლევა, მაგრამ ისეთ უმნიშვნელოს, რომ ყურადღების ღირსიც არ არის და თუ ყურადღების ღირსია, თქვენ აღარავინ გაცლით და ყველაფრის მომწყობი ადმინისტრაცია ისევ ძილს უბრუნებს გამოღვიძებულ ხალხს. იქამდის მიდის ეს „მამობრივი მზრუნველობა და ყველაფრის შემჩნევა“, რომ ხალხი ძილს არჩევს მოქმედებას.

ამ ორი კვირის წინად ქალაქ კალუგაში გუბერნატორად დანიშნეს თავადი გორჩაკოვი. სანამ გორჩაკოვი კალუგაში ჩავიდოდა, მას წინდაწინ, სხვათა შორის, თავისი... ორი ვირი გაუგზავნია. როდესაც ადგილობრივ ეს გაუგიათ, პოლიციაში დიდი ალიაქოთი მომხდარა— გუბერნატორის ვირები „მობრძანდებიან“ და რა ვუყოთ, რა წყალში ჩავარდეთო. ბოლოს, როგორც ყოფილა, ამ გაჭირვებიდან პოლიცია ადგილობრივ პოლიცმეისტერს გამოუყვანია, რაიც მის მოვალეობას შეადგენდა, როგორც პოლიციის პირდაპირ უფროსისას. მას სასტიკი ბრძანება გაუცია, სადგურზე დაუხვდით... ვირებს და იქიდან სახლამდის მიაცილეთო. ვირების მოსვლისას, პოლიციელები ასეც მოიქცნენ და სადგურიდან დიდის ამბით, ქალაქის კარგი ქუჩებით ვირები გუბერნატორის სახლისკენ წაიყვანეს. ხალხი გაკვირვებული შესცქეროდა ამ „დიდებულ“ მსვლელობას. მშვენიერი სანახაობა-კი იყო: ქუჩის შუა-გულას ორი დიდ-ყურა და აქეთ-იქიდან გამოწყობილი პოლიციელები! უნდა მოგახსენოთ, ვირებსაც შეეგნოთ, რომ რაღაც პატივისცემით ექცეოდნენ და ისინიც თამამად იცქირებოდნენ და დიდგულად მიდიოდნენ თურმე. მთელი ქალაქი საყურებლად შეკრებილა და ეს ამოდენა პროცესია გუბერნატორის საჯინიბოსკენ გამგზავრებულა. აქ დიდის ამბით და ზეიმით ვირები დაუბავთ (მაინც ჟაბეს ამ „პატივის“ ცემის შემდეგ) და ბოლოს სრულის წესიერებით დაშლილან, თუმცა ამბობენ, რომ პოლიციელებმა „პროცესიის“ შემდეგ ბევრ მოქალაქეს პატარა, სულ მცირე გიმნასტიკა გაუკეთეს ფიზიონომიაზე, მაგრამ ვინ იცის, რამდენად მართალია ეს. ან სად გაგონილა, რომ ვირებს ასე მიექცნენ და მოქალაქეს კი გიმნასტიკობის მეკვნიერება ასწავლონ!

აი, ესეთი მშვიდობიანობა და კაცთა შორის სათნოებაა დღევანდელ რუსეთში. ასრულდა სტოლიპინის გულის წადილი: რევოლიუცია ისე გაჰქრა, ხალხი ისე დამშვიდდა, რომ ვირებსაც კი ყველა დიდის პატივიცემით ეპყრობა და აცილებს. მთელი რუსეთი „ჭეშმარიტ რუსულ“ საქმეშია გართული და „პროგრესს“ აღარაფერი დაუდგება წინ.

*
* *

„ჭეშმარიტ რუსულ“ საქმეში არიან, სხვათა შორის, გართულნი პსკოვის საინტენდანტო და ადგილობრივი მონასტერი. ამ უკანასკნელმა ხომ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. არავინ არ მოელოდა, თუ სულიერი მამანი ამდენ „საქმიანობას“ გამოიჩენდნენ. უმრავლესობა ხომ იმ აზრისაა, რომ ბერები უსაქმოები არიან, არც ამ ქვეყანას არგიან რასმეს, არც იმ ქვეყანასაო. იმ ქვეყანასი რა მოგახსენოთ, ხოლო რაც შეეხება ამ ქვეყნისას, საყვედური არ ეთქმით.

საქმე იმაშია, რომ ეხლანდელი რევიზორები თავიანთ ცხვირს იქ არ ყოფენ, სადაც მათ არაფერი ესაქმებათ! წავიდნენ ეს ვაჟბატონები პსკოვში, რევიზია უყვეს საინტენდანტოს და აღმოჩნდა, რომ რამდენი ათასი ფუთი ფქვილი სადღაც გამქრალიყო. ბევრი იფიქრეს, ბევრი თავი ქვას იცეს, მაგრამ ვერ გაიგეს სად წავიდა ამოდენა ფქვილი. ბოლოს, როგორც იყო, კვალს მიაგნეს. საინტენდანტოდან ფქვილის კვალი პირდაპირ მონასტერში მიდიოდა. გაჰყვნენ კვალს და დახეთ სასწაულს: მონასტრის საწყობი სავსე აღმოჩნდა სახელმწიფო ფქვილით. მართალია, ფქვილი ნამდვილი მართლმადიდებლური იყო, ებრაელებს მანანა არაერია, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავდა, რომ ფქვილი უსათუოდ მონასტრის საწყობში უნდა ყოფილიყო და არა სხვაგან?

ეხლა თურმე დიდი თავის მტვრევაა იმის გასაგებად, რა სასწაულით მოხდა, რომ ფქვილი ხაზინის ნაცვლად ბერებს ჩაუვარდათ ხელში. ბერები ამას რომელიღაც წმიდანის საქციელს აწერენ, მაგრამ ბევრს არა სჯერა. ვნახოთ რა გამოირკვევა.

*
* *

არა ნაკლებად საყურადღებო ამბები გამოაქვეყნეს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ შესახებ, ისეთი ამბები, რომ „კავშირის“ მეთაური, ექიმი დუბროვინი ავად გახდა, რაიც სულ შეუფერებელ დროს მოხდა, რადგან „კავშირი“ პოლტავის დღესასწაულისთვის დიდის ამბით ემზადებოდა; თავის ძალის გამოჩენა უნდოდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, მთავრობაზედაც ისე უმოქმედნია ამ ამბების გამოქვეყნებას, რომ მას შესაძლებლოდ ვერ დაუნახავს „კავშირისთვის“ ნება დაერთო თავის ბაირაღებით პოლტავაში წასულიყო და იქ თავისი ძალა დაენახვებინა რუსეთისთვის. ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა „კავშირი“, რამდენიმე ხანია ცხარედ ემზადებიან თავიანთ ძალის გამოსაჩენად. ბოროტი ენები ამბობენ რომ რამდენიმე ათასი ვედრო არაყი იყიდეს, გაუბედავ წევრების გასამხნევებლად, დიდი თხოვნები დაამზადეს, ახალი ბაირაღები შეიძინეს, ერთის სიტყვით, ყველაფერი განაახლეს, მაგრამ უცბად, საუბედუროდ, ნება აღარ მისცეს, რომ პოლტავაში წასულიყვნენ და პეტრ[ე] დიდის გამარჯვების დღე ნამდვი[ლ] რუსულად ედღესასწაულნათ!! „კავშირის“ მეთაურნი გაიბუტნენ კიდე[ც], რახან ეგრეა, აღარ წავალთ, ჩვე[ნ] თქვენ დასახმარებლად მივდიოდი[თ] და რაკი ვერ დაინახეთ, თქვენს თავ[ს] დააბრალეთ, რაც მოგივათი. „ავადმყოფმა“ დუბროვინმა იმ წამსვ[ე] ცირკულიარი გამოაცხო, ოფიცია[ლ]ურად პოლტავის დღესასწაულებ[ს] ზე აღარ დავესწრებით და ვისა[ც] გსურთ, თქვენით წადითო.

„ავადმყოფი“ დუბროვინი სუ[ლ] ცოფებს ჰყრის თურმე (რაიც მ[ის] ავადმყოფობას არ შეეფერება) და თა[ვ]ის გაზეთში „კრამოლნიკურ“ მთა[ვ]რობას ამის გულისთვის ათას უბე[დ]ურებით ემუქრება, მოიცა ჩვე[ნ] ქუჩაზედაც იქნება დღესასწაუ[ლ]იო!.. ერთის სიტყვით გასწყრე[ნ] მეგობრები, მაგრამ ხომ მოგეხსენე[ბ]ათ, მეგობრები ჩხუბობენ.... იმედ[ი] უნდა ვიქონიოთ, რომ მალე შერი[ґ]დებიან.

*
* *

დასასრულ, ერთი სამწუხარო ა[მ]ბავი უნდა მოგახსენოთ, ისე სამწუ[ხ]ხარო, რომ ენა ველარ გამოსთქვამს. ბესარაბიელ დეპუტატს პურიშკევი[ჩ]ს ოპერაცია გაუკეთეს და ამბობენ ამის შემდეგ პურიშკევიჩი დაჭკვიან[]დება და სახელმწიფო სათათბიროშ[ი] აღარ იკლოუნებსო!! მართლაც, რომ სამწუხაროა ერთის მხრივ იმ[ი]ტომ, რომ კლოუნობით სახელი გა[ი]თქვა და მეორეს მხრივ მეფელეტო[]ნეებს მასალა შემოაკლდებათ—ამ[]რაღაზე სწერონ: დუბროვინი ავა[დ] არის, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მოქმედებას უკანასკნელი დღეები უდ[]გება (ასე ამბობენ, თორემ მე არ[ა] მჯერა, როდისღა უნდა იმოქმედონ თუ არა ეხლა), პურიშკევიჩი დაჭ[]კვიანდება... იმედი უნდა ვიქონიოთ რომ წამალი ასე ძლიერ ვერ გას[]რის და პურიშკევიჩი სამუდამოდ ვე[რ] დაჭკვიანდება. გაივლის დრო დ[ა] კვლავ ვიხილავთ მის კლოუნობას.

მ. ხ—ლი.

მაგრამ ისევ მალე გამოვბრუნდი—„მანდ არ მისცეს ნება დადგომისაო", გადმომცეს ბიჭებმა და თითონვე მიმაცილეს იმის კარებამდის. ეპის. კირიონი მოთავსებულია მეორე სართულში, ორ პაწაწა ოთახში, რაც ერთ მოზრდილ ოთახს ძლივს უდრის. მოწყობილება ღარიბ სტუდენტის ოთახისა აქვს. ეს არაფერი რომ სხვა უფრო დიდი ნაკლულევანება არა ჰქონდეს სადგომს. როგორც ოთახის, ისე დერეფნის, ძირს თუ ზემოდ, კედლებიდან სინესტის გამო წყალი გადმოდის და სდგას განუწყვეტელი შმორის სუნი. დერეფანში გავლის დროს ხომ ცხვირზე ხელი თუ არ მოიკიდეთ, სუნით დაიხრჩობით. თვით შენობა ეტყობა ნოეს ხანას უნდა აჭარბებდეს, ამიტომ ჭერი და იატაკი მთლად დამპალია და საძაგელ სუნს უშვებს, ადგილ-ადგილ ჩამტვრეულია, საიდანაც ბაყაყები ყოველ დღე ესტუმრებიან ხოლმე ოთახში ეპ. კირიონს.

მე, ორ კვირამდის დავყე იქ, მაგრამ ვაი იმ ყოფნას! რასაკვირველია, ჩემთვის სასიამოვნო იყო მოხუცთან დარჩენა, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ წუთობით ვთვლიდი წამოსვლას და ორი კვირაც რომ მომხდომოდა დარჩენა, ვეღარ შევძლებდი. გარედ გამოსვლაც შეუძლებელი იყო კოღოების გამო. ხან და ხან, როდესაც მოგვენატრებოდა გარედ გამოსვლა, ჩავიდოდით ეზოში, მაგრამ მალე სახე დასიებულები სახლისკენ გავრბოდით. პირისახეზე ჩამოსაფარებელი შეეკერინებინა ეპ. კირიონს, რომელსაც ხან და ხან ხმარობდა. ოთახშიაც პოულობდნენ კოღოები ბინას და ძილს გვიფრთხობდნენ.

პენსია ჯერ კიდევ არ დაუნიშნიათ და სცხოვრობს მონასტრის ხარჯზე, მაგრამ რა ხარჯზე! ჩემ იქ ყოფნის დროს მთელი ორი კვირის განმავლობაში მიჰქონდათ სადილად ერთი და იგივე გაწყალებული კარტოფილის წვენი. პირველიც ის იყო და უკანასკნელიც. მე მეგონა, მარტო მარხვაში იყო ასეთი საჭმელი. მაგრამ, როგორც გავიგე, მარხვაშიაც ესა ყოფილა და ხსნილშიაც.

დიდ გაჭირვებაშია ეპ. კირიონი, მაგრამ სულით მაინც არ ეცემა. ესკია, ფიზიკურად ძალიან დაუძლურებულია, გამხდარი და ნერვებ მოშლილი. ავად არის მალიარიით, რაც დღითი დღე აძაბუნებს და ძალ-ღონეს ალევს.

რაც შეეხება ეპ. კირიონის დამოკიდებულებას ბერებთან და გარეშე ხალხთან, აქაც მოუსწვრია კეთილ სახელის დამსახურება. დიდიდან დაწყებული პატარამდის ყველა „душа человѣкъ"-ს ეძახის. ასევე ამბობენ ოთხი ვერსის მანძილზე ქ. ტემნიკოვის მცხოვრებნი.

ვიმეორებ, ამ ჟამად, ავადმყოფობის გარდა, ეპ. კირიონი დიდ გაჭირვებაში იმყოფება და ამნაირ ცხოვრებას დიდხან ვერ შესძლებს.

**გ. მოუსვენარიძე.**

# მოწერილი ამბები

**ხელმგორი.** უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, ამბობს ხალხის სიბრძნე და მართლაც ასე დაემართათ აქაურ მცხოვრებთ. სასტიკ გვალვების შემდეგ, როგორც იქმნა, მოვიდა წვიმა, რომელმაც სიცოცხლის ელფერი დასდო გვალვისაგან განადგურებულ ყანებსა და მინდვრებს. იმედ დაკარგული ხალხი წელში გაიმართა, რადგან მოსავალს ჯერ კიდევ კარგი პირი უჩანდა. მაგრამ, საუბედუროდ, 20 ივნისს, ნაშუადღევის სამ საათზე, დაჰბერა მაგარმა ქარი-შხალმა, მოჰყვა ჭექა-ქუხილი და შემდეგ წამოვიდა ძლიერი სეტყვა, რომელმაც 15 წუთს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტელი სეტყვა იყო. ადვილად მიჰხვდებით, რა ზიანს მიაყენებდა ვენახებსა და ხეხილს, როგორც ამბობენ, ზოგრგან სოფლებში მთლად გაუნადგურებია ვენახები. ამ მოულოდნელმა ზარალმა ხალხი დიდად დაალონა. შარშანაც ნაკლები მოსავალი იყო და ეხლა ყველა დიდ განსაცდელშია. ამას ზედ დაერთო სამუშაოების შეწერებაც. უსახსრობისა გამო ხალხი იძულებულია ნახევარ ფასში გაჰყიდოს ხარ ძროხა.

20 ივნისსავე, ღამის ათ საათზე და ათ წუთზე აქ მცირედი მიწის ძვრა მოხდა. ამ მოკლე ხანში აქ ეს მეორედ მოხდა მიწის ძვრა.

ადგილობრივ სკოლებში 15 ივნისს გათავდა ეგზამენები. ქართული ენის სწავლება სამინისტრო სკოლების ზოგიერთ განყოფილებებში კიდევ საგრძნობლად კოჭლობს. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ აქაურ სამრევლო ორ კლასიან სკოლაში ქართული ენის სწავლება ნორმალურად არის დაყენებული. ეტყობა, სკოლის ზედამხედველს და ქართული ენის მასწავლებელს, კირილე ძოძუაშვილს, დიდი ყურადღება მიუქცევიათ ამ საგნისათვის. სხვა მხრივაც, სწავლების საქმე—ამ სკოლაში რიგიანად არის დაყენებული.

აქაური სცენის მოყვარენი უკვე შეუდგნენ თათბირს წარმოდგენების გამართვის შესახებ. განზრახულია წელსაც, როგორც შარშან, ხშირად მართონ წარმოდგენები.

აქეთ მოგვევლინა ვიღაც ცრუ მქადაგებელი. ეს ვაჟბატონი დადის თურმე სოფლებში და ხალხს უქადაგებს, მე რამდენიმე წელიწადი მკვდარი ვიყავი, მერე ისევ გამაცოცხლა და ღმერთმა დამაბარა, თქვენთან—არ ჭამოთ მარხვა, ხატებს ხშირად აუნთეთ სანთლები ბავშვების ხელით, რადგან თქვენ ანთებულს არ მიიღებს, ცოლებთან კვირაში მარტო ხუთშაბათობით დაწექით და სხვა. ვინც ჩემს დარიგებას არ შეასრულებს, მისთვის ჯოჯოხეთი გადაწყვეტილიაო. ეს ახალ მოდის პროპაგანდისტი პოლიციას დაუჭერია და როდესაც ერთს პოლიციელს კარგად დაურბილებია, ის თურმე ღმერთს ევედრებოდა, ღმერთო აპატიე, რადგან უგნურია, არ იცის, ვის ეხება და რას სჩადისო. ეხლა ხალხში ხმაა გავრცელებული, ვითომ იმ პოლიციელს, რომელმაც ამ კაცსა სცემა, მარჯვენა ხელი გაუხმაო. ესეც თქვენი კულტურა!

ამ დღეებში მახლობელ სოფელ მადლოურში ერთს იქაურ მედუქნეს ღამე თავს დასცემიან რაინდები. კარების გაღება რომ ვერ მოუხერხებიათ მედუქნისათვის დაუძახნიათ, აქციზის მოხელენი ვართ და შენი დუქანი უნდა გავჩხრიკოთო. მედუქნესაც მართალი ჰგონებია, კარი გაუღია და მოხელეების მაგიერ თოფ-ხანჯლებიანი ყაჩაღები-კი დაჰხვედრია. წაუღიათ ექვსი თუმანი ფული და რამდენიმე თუმნის ნავთები (ამბობენ 36 თუმნისაო). პოლიციას ეჭვით დაუპატიმრებია ერთი კაცი, რომელიც მედუქნესაც უცვნია, გამოძიება სწარმოებს.

**რიხვა.**

**ფოთი.** 16 ივნისს ფოთს ესტუმრა ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი. სადგურზე დაჰხვდნენ ქალაქის თავის მოადგილე და ხმოსნები. ქალაქის თავის მოადგილე ი. მეუნარგია მიესალმა გრაფს ფოთის საზოგადოების სახელით მოკლე სიტყვით. ადგილობრივ სომეხთა საზოგადოებიდან აპრელიანმა მოკლე სიტყვა უთხრა და პურ-მარილი მიართვა. აქედან გრაფი ეკლესიაში შევიდა, სადაც ეპისკ. ლეონიდმა მოკლე სიტყვით მამართა. გადახდილ იქნა პარაკლისი. გალობდა ხორო ა. მეგრელიძის დირიჟორობით. გრაფს მოეწონა ხმა მომღერალ ქალის სიდოროვასი, რომელმაც სოლო იმღერა, და შეაქო იგი. შემდეგ შევიდნენ ახალ-სობოროში, რომელიც ჯერ დამთავრებული არ არის და კიდევ საჭიროებს ფულს. გრაფმა სთქვა, აღვძრავ შუამდგომლობას, რომ შემოწირულება გაიმართოს სობოროს დასამთავრებლადაო. შემდეგ წავიდნენ ნავთსადგურში. გრაფმა მთლად დაიარა ნავთსადგური. ინახულა ელევატორიც. საზაფხულო კლუბში საუზმე გაუმართეს. ამავე დროს აქ მინდორში გურულებმა იმღერეს ხალხური სიმღერები. ღამის 12 საათი იქნებოდა, რომ გრაფი „ურას" ძახილით გაისტუმრეს რუსეთისკენ.

18 ივნისს პეტერბურგიდან ჩამოვიდა ქალაქის თავი ნ. ნიკოლაძე. იმასაც დიდის ოვაციით დაჰხვდნენ სადგურზე. საფუძო გადასახადის დამტკიცების შემდეგ პირველად ჩამოვიდა ფოთში და ყველა გამარჯვებით დაბრუნებას ულოცავდა.

**ლ. გ—რი.**

**კახეთი.** ზამთრისა არ იყოს, გაზაფხულიც ვერ იყო სანეტარო კახელ მხვნელ-მთესველისთვის. ჯერ იყო ზამთარი მეტად ადრე დაიწყო; გიორგობისთვიდან დაწყებული აღდგომამდე გაგრძელდა, რის გამოც შემოდგომაზე სოფლელთ ვერ მოასწრეს ანეულებია დახვნა-დაფარცხვა. შემდეგ გაზაფხული მეტად გვიანი იყო და უცბად პირველშივე გვალვა დაიჭირა, ისე რომ მხვნელს ძრიელ შეუშალა ხელი.

ჭირნახული, როგორც იყო, დაითესა, მაგრამ ამინდისა ეფიქრებოდა გლეხს, თუ ნამი არა, მთელი წლის სარჩო ხელიდან გამოეცლებოდა. მართლაც, ტაროსი შეიცვალა. რამაც ნათესს დიდად შეუწყო ხელი; თუ ავდარი არა, ბევრი მიწა დაუთესავი დარჩებოდა. წინად ვინც მოასწრო მაინც გვალვამ შეაწუხა, ნამეტნავად გაზაფხულის პური და ადრეული სიმინდი. ნათესს საერთოდ არა უშავს-რა. გაღმა-კი სჯობია ყანა. ორთა შუა რიცხვით პურის მოსავალი საშუალოა მოსალოდნელი. ქერები კარგია, მაგრამ ბევრს არა სთესენ, ისე რომ მნიშვნელობა არა აქვს იმის მოსავალს. უფრო გაღმა მხარეს მისდევენ. ქერები უკვე დაიმკო. ყანაც გაიჭრა გაღმა. გამოღმა ამ ერთ კვირაში დაიწყობენ მკას. როგორც ყოველთვის, მუშის ფასმა აიწია, 1 მ.—1 მ. 20 კ. გახდა. სხვა დროს მუშის შოვნა არ იყო, რადგან საუფლისწულო მამულებში დიდ ძალი მუშა სჭირდებოდათ. ამ ბოლო დროს-კი გაუმჯობესებულ მიწის იარაღმა შესცვალა ხელთ მუშაობა, ხოლო წელს ისეთი მანქანა მოიტანეს, რომელიც თვითონა სწამლავს ვაზს. ამის გამო მუშა ხელი იმდენი აღარ უნდებათ, რამდენიც წინად, როცა ჩვეულებრივის აპარატით სწამლობდნენ ვაზს.

ერწო-თიანეთიდან გულსაკლავი ამბავი ჩამოდის პურის მოსვლის შესახებ. იქ გვალვა ვერაფერს აკლებს ხოლმე ჭირნახულს, წელს-კი ხანგრძლივ გვალვას ისე ხაუფუჭებია, რომ ზოგი სათესლეს ვერ აიღებსო. თუ ეს მართალია, კახეთში მოუხდებათ პურის ყიდვა, რაიც მისი ფასის აწევაზე შესამჩნევად იმოქმედებს.

ამ ბოლო დროს-კი წვიმა თავ-თავის დროზეა.

**ეული.**

# სპარსეთის ამბები

**რევოლიუციონერების გამარჯვება.**

„ტიფლ. ლისტ."-ს დეპეშით ატყობინებენ კაზვინიდან:

„21 ივნისს, რევოლიუციონერების რაზმები შეერთდნენ კერეჯის ხიდთან; რომელიც თეირანს ახლომდებარეობს და წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნკტს. კერეჯის ხიდს, როგორც ვიცით, დიდი ხანია იცავენ შაჰის ჯარისკაცები და ყაზახთა ბრიგადის ნაწილი. ხიდის ორსავ მხარეს სიმაღლეებზე დადგმული იყო ზარბაზნები.

თუმცა რევოლიუციონერებმა იცოდნენ, რომ ხიდზე ტყვიის მტყორცნელებიც იდგა, მაინც მათ გადასწყვიტეს ამ პოზიციის აღება, მხოლოდ ღამით-კი, რომ შაჰის ზარბაზნებს და ტყვიის მტყორცნელებს დიდი ზარალი აღარ მიეცა მათთვის.

21 ივნისს გათენებისას რევოლიუციონერების შეერთებული რაზმები მიუახლოვდნენ კერეჯის ხიდს, ზარბაზანი დაუშინეს და საქმე გაუჭირვეს შაჰის ყაზახებს, ბახტიარებმა მოინდომეს ხიდის მოვლა, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან მდინარეში უხიდოდ გასვლა შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ რევოლიუციონერებმა მედგარი იერიში მიიტანეს ხიდზე. შაჰის ჯარი შეშინდა, აირია და ცოტა ხნის შემდეგ ხიდი დაიჭირა კაზვინელ რევოლიუციონერების მეთაურმა სეპეხდარმა, რომელსაც დავლად ერგო ზარბაზნები და თოფები, შაჰის ჯარისკაცებისა და ყაზახებისგან დატოვებული.

მოკლული და დაჭრილი შედარებით ბევრი არაა.

რევოლიუცინერებს დიდი იმედი აქვთ, რომ მეორე შეტაკების დროს, შაჰის ჯარის-კაცები და ყაზახები მათ მხარეს გადავლენ.

რევოლიუციონერები მიუახლოვდნენ თეირანს. ამ ორ დღეში გადასწყდება თეირანის ბედი".

ამავე ბრძოლის თაობაზე ატყობინებენ „კავკაზ"-ს: „20 ივნისს რევოლიუციონერებმა აიღეს კერეჯი. სამის საათის წინააღმდეგობის შემდეგ შაჰის ყაზახებმა ზარბაზნები დატოვეს და უკან დაიხიეს."

ამავე გაზეთის კორესპონდენტი იუწყება რეშტიდან. აქედან ყოველ დღე 30-40 შეიარაღებულ რევოლიუციონერს უგზავნიან საშველად თეირანზე გალაშქრებულ რაზმებს.

**რუსის ჯარის გაგზავნა სპარსეთში.**

როგორც ვიცით: რუსეთი ახალ ჯარსა ჰგზავნის სპარსეთში. ამ ცნობამ თურმე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დიპლომატთა წრეებზე და მეტად გააკვირვა სპარსეთის საელჩო პეტერბურგში. „გოლ. მოსკვი"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან:

„სპარსეთის საელჩოს ძლიერ აოცებს რუსეთის მთავრობის ასეთი განკარგულება. სპარსეთის წარმომადგენლები ამბობენ, რომ რევოლიუციონერების გალაშქრება თეირანზე სრულიად არ იყო საშიში რუსეთისა და სხვა უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომებისა და დაწესებულებისთვის. თუ რა წესიერად ექცევიან სპარსელი რევოლიუციონერები უცხოელებს,—ეს სხვათა შორის თავრიზელმა რევოლიუციონერებმა დაამტკიცეს ცხადად. თავრიზი ცხრა თვეს იყო ალყა შემორტყმული, მაგრამ იქ ფიქრადაც არავის მოსვლია უცხოელებზე დაცემა. ამიტომ ის საბუთი, ვითომ ამ ჟამად რუსეთის ქვეშევრდომებსა და დაწესებულებებს სპარსეთში განსაცდელი მოელის, მეტად სუსტი საბუთიაო.

პარიზში დიდის ყურადღებით ეკიდებიან სპარსეთის ამბებს. ზოგიერთი ფრანგული გაზეთი ჰფიქრობს, რომ რუსეთს სურს დახმარება გაუწიოს შაჰს, მაგრამ ჯარის გაგზავნით ვერ იხსნის მაინც შაჰს დაღუპვისაგან, ისე როგორც საფრანგეთმა ვერ იხსნა სულთანი აბდულ-აზიზი მაროკოშიო. რუსეთი ტყუილად ეხმარება ხალხისგან მოძულებულ შაჰს, ამით რუსეთი სპარსეთს „მეორე მაროკოდ" გადააქცევსო.

გაზ. „ენტრანსიჟან"-ი ირწმუნება: გერმანია და ავსტრია იმიტომ უცქერიან კეთილის თვალით რუსეთის მოქმედებას სპარსეთში, რომ ეს მოქმედება ამ ორ სახელმწიფოს ხელფეხს უხსნის ახლო აღმოსავლეთშიო.

**„ბ ე ს ტ შ ი".**

„რ. სლოვ"-. თავრიზელ კორესპონდენტს უნახავს ოსმალეთის საკონსულოში ბესტში ჩამჯდარი სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი და უსაუბრნია მათთან:

„ლილავას უბნის ვიწრო ქუჩებში თიხის სახლებზე ფრიალებს ოსმალეთის წითელი დროშა ნახევარმთვარით. დიდძალი ხალხი ირევა ოსმალეთის საკონსულოს წინ. ყველა ჯურის ხალხი ჩანს. ყველანი ხმაურობენ, ღელავენ. ერთი ხნიერი მაღალი ტანის მოლა ადის ფანჯარაზე და ხელების შლით ლაპარაკს იწყებს.

ჩემმა თარჯიმანმა ამიხსნა: რუსებს ლანძღავს... უხსნის ხალხს ბოლონდელ ამბების მნიშვნელობას... ყველას იწვევს, ბესტში ჩასხდნენ და ოსმალეთის კონსულისგან მოწმობები აიღონ, ხალხი ბეჯითად უგდებს ყურს. მოლა თან-და-თან უფრო ფიცხად ლაპარაკობს. ხშირად მესმის სიტყვები. „ისლამ", „ოსმანლი", „სტამბულ", „ალლაჰ". ხალხიც აღფრთოვანებით აძლევს ბანს: „ია-ა-ალ-ლაჰ! და მკერდში ხელს იცემს. უთარჯიმნოდაც მესმის, რომ მოლა ოსმალეთს აქებს და მის სასარგებლოდ ეწევა აგიტაციას.

ფესიანმა ოსმალელმა ჯარის კაცმა სავიზიტო ბარათი გამომართვა და სათარ-ხანთან შემომიყვანა. სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი ფეხზე წამოდგნენ: — სელამ-ალეიქუმ, მუხპირ (მუხპირ—მწერალს ჰნიშნავს).

— აი სად მოგვიხდა შეხვედრა, სთქვა სათარ-ხანმა სევდიანის ღიმილით.

იგი ძლიერ გამხდარა, წელში მოხრილა, თვალებში თავდაჭერილი გულისწყრომა ეტყობა. ბაღირ-ხანი უფრო დინჯადაა.

— რა ამბავია ესა, მუხპირ?—დაიწყო სათარ-ხანმა... რუსები მეტად უსამართლოდ მოგვექცნენ და ჩვენ ოსმალეთის საკონსულოს შევაფარეთ თავი. აქ ჩვენ გვასწავლიან, როგორ მოვიქცეთ.

ვეცადე სათარ-ხანის დამშვიდებას, დავა-მედე, რომ საქმე კარგად წავა-მეთქი. სათარ-ხანი ყურადღებით ისმენდა ჩემს ლაპარაკს, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ ჩემი არა სჯეროდა-რა.

ნახევარ-საათის შემდეგ გამოვემშვიდობე. ფესიანმა ჯარისკაცმა მითხრა: კონსული გთხოვთო.

ოსმალეთის კონსული მამედ-ალი-ეფენდი—ახალგაზდა, შავგვრემანი, ლამაზი კაცია; მახვილი სახე და გამომეტყველი თვალები აქვს. დინჯ მიხვრა-მოხვრით, მოხდენილ ტანისამოსით და ფრანგულის გამოთქმით ნამდვილ პარიზელსა ჰგავს.

ყველაზე ძლიერ კონსულის სიდინჯემ გამაოცა. ისე არხეინად იყო, თითქო აქ არაფერი ამბავიც არ მომხდარაო.

მე გავახსენე, რომ ოსმალეთის მთავრობის მოქმედება სპარსეთში ძლიერ აოცებს რუსეთის მთავრობას და რომ ოსმალეთის წარმომადგენლებმა დიდი პასუხის გება იკისრეს და ბოლოს შევეკითხე: ამას იქით რაღა იქნება მეთქი.

მამედ-ალი-ეფენდიმ ღიმილით მიპასუხა:

— მგონია, რომ ჩვენი მოქმედება მხოლოდ დააჩქარებს საქმის გადაწყვეტას. ჩვენ მუდამ გვაკვირვებდა ის გარემოება, რომ სპარსეთის პოლიტიკაში სახელმწიფოები არაფრად აგდებდენ ოსმალეთს, როდესაც ამ პოლიტიკაში მონაწილეობას იღებს საფრანგეთიც-კი, რომელსაც აქ თითქმის არავითარი ინტერესი არა აქვს. ოსმალეთს სპარსეთში დიდი ინტერესები აქვს, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური. ამას გარდა ადერბეიჯანი დასახლებულია ჩვენის მონათესავე და თანამორწმუნე ტომით. სპარსეთი მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენთან და მის საქმეების სამართლიანად გადაწყვეტა უჩვენოდ შეუძლებელია. ამიტომ სწორედ, გასაკვირველია, რომ სახელმწიფოები არად გვაგდებენ და უჩვენოდ სწყვეტენ სპარსეთის ბედს; ეს მეტად დიდი, გაუგებარი დიპლომატიური შეცდომაა.

კონსული, ცოტა არ იყოს, აღელდა,

— თქვენ, რუსებს, გგონიათ, რომ შია მუსულმანებს (სპარსელებს) ჰკირივით სძულთ სუნნა მუსულმანებიო (ოსმალები) და მაგაზედ აფუძნებთ ზოგიერთ თქვენს პოლიტიკურ იმედს. ეს ტყუილი იმედია. ნუ გავიწყდებათ, რომ სპარსელი მუშტეიდები, რომლებსაც ხელში უპყრავთ მთელი სპარსეთის ხალხი, ეს სპარსელი პაპები, ცხოვრობენ ქერბალასა და ნეჯებში, ესე იგი ჩვენში, ოსმალეთში და მათ მეტად კარგი განწყობილება აქვთ ჩვენს მთავრობასთან.

# კრიტოსის საქმე

**სახელმწიფოების ნოტა.**

მფარველმა სახელმწიფოებმა ნოტა გაუგზავნეს ოსმალეთსა და საბერძნეთს კრიტოსის საქმეზე. მათ გამოუცხადეს ოსმალეთს, რომ კრიტოსის მმართველობის წესებს ისინი უოსმალეთოდ შეიმუშავებენ, ამნაირად მათ უარი უთხრეს ოსმალეთს, რომელმაც მოითხოვა, რომ ხსენებულ წესის შემუშავებაში მის წარმომადგენლსაც მიეღო მონაწილეობა. ამავე დროს სახელმწიფოებმა გააფრთხილეს საბერძნეთის მთავრობა, რომ იგი, არც პირდაპირ და არც როგორმე სხვანაირად, არ ჩაერიოს კრიტოსის საქმეში.

**კრიტოსის სასამართლოები.**

კრიტოსის სასამართლოები წარსულ შემოდგომის აქეთ თავიანთ განაჩენებს ადგენენ საბერძნეთის მეფის სახელით მომჩივრებმა აქედან ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ კრიტოსის სასამართლოები შეადგენენ საბერძნეთის სასამართლოს პირველ ინსტანციას, ხოლო ათინის საკასაციო სასამართლო — შეადგენს მათთვის მეორე ინსტანციასო. საკასაციო საჩივრები ათინის უმაღლეს სასამართლოს წარუდგინეს. ათინის სასამართლო დიდ გაჭირვებაში ჩავარდა: რომ არ მიეღო საჩივრები,—ეს იმის მიმასწავებელი იქნებოდა, რომ კრიტოსი საბერძნეთის ნაწილს არ შეადგენსო, ხოლო თუ ამ საქმეებს მიიღებდა და გაარჩევდა,—ეს იქნებოდა დამტკიცება კრიტოსის საბერძნეთთან შეერთებისაო. ათინის უმაღლესმა სასამართლომ თავიდანვე აიცილა ეს მძიმე განსაცდელი: მან კრიტოსიდან მიღებულ საჩივრების გარჩევა განუსაზღვრელის ვადით გადადვა.

**ბოიკოტი.**

როგორც ვიცით, ოსმალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ბერძნებს. „რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტი იუწყება რომ ბერძნებს შეუძლებლად მიაჩნიათ ეს ბოიკოტიო. ისინი ამბობენ: „ჩვენ ხომ ავსტრიელები არა ვართ. მარტო სტამბოლში იქნება ნახევარმილიონი ბერძენი. თუ ბერძნები მარტო ბერძნის საქონელს-ღა იყიდიან და მარტო ბერძნის მუშებს-ღა ამუშავებენ, ამით ოსმალებს გაცილებით მეტი ზარალი მოუვათ, ვიდრე ბერძნებს.

# რუსეთი

✦ **პოლტავის დღესასწაულები.** პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ პოლტავის დღესასწაულებს არ დაესწრებიან სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს თავმჯდომარეები აკიმოვი და ხომიაკოვიო.

✦ **რევიზია.** „კასპ" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „ივლისში სენატორი გარინი რევიზიას გაუკეთებს კიევის საინტენდანტსტვოს."

✦ **ახალი კანონ-პროექტი.** „რეჩის" სიტყვით, ფინანსთა მინისტრი ახალ კანონ-პროექტს ამუშავებს. ამ კანონ-პროექტით უნდა შესდგეს კერძო საზოგადოებები, რომლების მიზანიც იქნება რკინის გზების გაყვანა. მთავრობა ამისთანა საზოგადოებებს 3% გარანტიას მისცემს.

✦ **სენსაციონური ამბავი.** „როსსია"-ში ვკითხულობთ: „პეტერბურგის ჟანდარმთა მმართველობას ცნობა აქვს, რომ ფინლიანდიელებს საიდუმლოდ შეუძენიათ რამდენიმე წყალ-ქვეშ მავალი ნავი. ფინლანდიელებს ხელმწიფე-იმპერატორის გემის აფეთქება უნდოდათ. ეს ცნობა ჟანდარმთა მმართველობამ ხელმწიფე-იმპერატორის წასვლამდე გაიგო და შესაფერი ზომები მიიღო". როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, ხელმწიფე-იმპერატორი ფინლიანდიის შხერებში წავიდა გერმანიის იმპერატორის სანახავად. ალბად აქ თუ უნდოდათ აფეთქება!!!

✦ **სოფლის მწერალი-ქალი.** პერმის გუბერნიაში სოფლის საზოგადოებამ მამასახლისის მწერლად ამოურჩევია ქალი. ადმინისტრაციას ამ თანამდებობაზე ამორჩეული ქალი დაუმტკიცებია. ეს პირველი მაგალითია რუსეთში, რომ სოფლის მწერლად ქალი ყოფილიყოს.

✦ **ქალთა უმაღლესი კურსები.** ქალაქ ნოვოჩერკასკში არსდება ქალთა უმაღლესი კურსები. საერო განათლების მინისტრს უკვე ნება დაურთავს. კურსებზე იქნება საბუნების-მეტყველო და მათემატიკური განყოფილებები.

✦ **დანიის მეფე.** „რეჩი"-ს სიტყვით 11—12 ივლისს რუსეთში ჩამოვლენ დანიის მეფე და დედოფალი.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 4, ბაქოში 2, მოსკოვში 1, ელისავეტგრადში 2, რეველში 2, ხარკოვში 1, ვარშავაში 1, კიევში 1, რიგაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: რეველში 1, კამენეც-პოდოლსკში 2, უფაში 2, მოგილევში 1, ვარშავაში 2, ოდესაში 1, პეტერბურგში 2 კაცი.

✦ **ბოროტ-მოქმედთა ტიპების შესასწავლელი ლაბორატია.** „რეჩის" სიტყვით, ამ დღეებში პეტერბურგის ქალაქის თვითმმართველობას ვინმე ამერიკელი არტურ დომერისაგან წერილი მიუღია. არტურ დომერი ქალაქის თვითმმართველობას წინადადებას აძლევს, პეტერბურგში ფიზიოლოგიურ ლაბორატორიას გავხსნი და ბოროტ-მოქმედებისა და გადაგვარებულ პირების ტიპებს შევისწავლიო. ამისთანა ლაბორატორია დომერს ამერიკაში ჰქონია და ბევრი რამაც გაუკეთებია. რადგანაცაო, სწერს დომერი, ბოროტ-მოქმედებს დიდი ზარალი მოაქვთ, ამიტომ საჭიროა ლაბორატორია, რომ მათი ტიპები შევისწავლოთ, რაიც გაადვილებს მათთან ბრძოლასაო. დომერის აზრით ასეთი ლაბორატორიის შენახვა 24,000 მანეთი დაჯდება.

✦ **ახალი აკადემია.** ამ რამდენიმე წლის წინად განსვენებულმა ბარონმა გინცბურგმა (ებრაელია, ცნობილი ქველმოქმედი და მილიონერი, სულ რამდენიმე თვეა, რაც გარდაიცვალა), პეტერბურგში უმაღლესი კურსები დაარსა, მმ კურსებზე აღმოსავლეთის წარსულს და აწმყოს სწავლობდნენ. როგორც „რეჩს“ გაუგია, ამ კურსებს აკადემიად გადააკეთებენ. აკადემიის მიზანი იქნება შეისწავლოს ებრაელების მწერლობა, ისტორია, სარწმუნოება აწმყო და წარსული და სხვა. აკადემიის პროგრამაში ამას გარდა შევლენ აღმოსავლეთის ენები და ფილოსოფიის ისტორია. კურსების აკადემიად გადამკეთებლების ინიციატორების აზრით აკადემია ებრაელების ერთ ცენტრალურ ალაგად უნდა გადაიქცეს, აქ მოიყრიან თავს ყველა ებრაელი მეცნიერები. ამასთან ყველა დიდ ქალაქებში უნდა დაარსდეს კომიტეტები, რომლებმაც აკადემიას სხვა და სხვა მასალები უნდა მიაწოდონ: წმინდა მეცნიერულ მიზნების გარდა აკადემიამ უნდა მოამზადოს პრაქტიკული მოღვაწეები, რომლებიც ებრაელებში იმოქმედებენ, როგორც რაბინები, მასწავლებლები, მქადაგებლები და სხვ.

✦ **კაშინის დღესასწაულებზე.** როგორც დეპეშებიდან ვიცით ამ დღეებში კაშინიდან ტვერში გადაიტანეს წმ. ანნა კაშინელის ნაშთები. ნაშთების გადატანას აუარებელი ხალხი დაესწრო, ზოგიერთი გაზეთების ცნობით 100,000 კაცამდე. „გოლ. მოსკ.“ თანამშრომლის ბევრი საინტერესო ცნობა მოჰყავს ამ დღესასწაულიდან. მოვიყვანთ ზოგიერთებს. „რამდენიმე ხნით სრული სიჩუმეა. უცბად ერთი მხრიდან ყვირილი მოისმის, მას აქეთ იქიდან ზანს აძლევენ და რაადენიმე წამს შემდეგ გულშემზარავი ყვირილი ისმის. ეს—ქადაგად დაცემულები ჰყვირიან; წაგვიყვანე წმიდა ანნა, წაგვიყვანე! წმიდა ანნა, წმიდა ანნა! მეორე მხრიდან სხვანაირი ყვირილი ისმის: ქაჯმა ადამიანს სული მიატოვა, გაიქცა; წმ. ანნა გვიშველე! ხალხი ერთმანეთს აწვება, ერთი უბედურებაა, ათასობით მისდით გული. უახლოვდებით წმ. ანნა კაშინელის კუბოს. კუბოსთან თქვენ ყურადღებას ბებერი ადმირალი იპყრობს. მას ხელში 10 წლის ქალიშვილი უჭირავს, ხელები უკანკალებს ლამის არის გაუშვას ბავშვი. ბავშვი მუნჯია. ბავშვი პირქვე კუბოზე დააწვინეს. სთქვი „ანნა“, სთქვი შვილო, ბუტბუტებს მამა. ბავშვი სტირის, აქეთ-იქით იწევს, ფეხებს აბარტყუნებს. მამა იჭერს და განაგრძობს, სთქვი „ანნა“, სთქვი. ბავშვი „აააა-ს გაიძახის. ბოლოს საბრალო მამამ მღვდელს მიმართა და სთხოვა იოანეს სახარებიდან ის თავი წაიკითხეთ, სადაც ნათქვამია, თუ როგორ გაჰკურნა იესომ ქრისტემ მუნჯები და ბრმები. მღვდელი კითხულობს. მამა ზეცისკენ აღაპყრობს თვალები და სასწაულს ელის, ელის, რომ აი ეხლა დაიწყებს ტიტინს მისი საყვარელი შვილი.

# უცხოეთი

**რუსები მანჯურიაში.**

გერმანულმა გაზ „ფრანკფ. ცაიტუნგ“-მა ვრცელი წერილი უძღვნა რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობას მანჯურიაში. გაზეთი თავდაპირველად ლაპარაკობს იმ შეთანხმებაზე, რომელიც ამას წინად რუსეთმა და ჩინეთმა ერთმანეთთან დასდვეს ქალ. ხარბინის თაობაზე.

მეტად ხანგრძლივი მოლაპარაკება რუსეთს და ჩინეთს შორის დაგვირგვინდა ჩინეთის გამარჯვებით: რუსეთმა აღიარა ჩინეთის განუსაზღვრელი ხელმწიფება რუსეთ-ჩინეთის რკინის გზის მთელს ტერიტორიაზე, ხოლო ამ გზის ახლო მდებარე ყველა ადგილი აღიარა ყველა სახელმწიფოსთვის ხელმისაწდომად: იქ ყველას ვაჭრობის თანასწორი უფლება ექნება. ამ საზოგადო შეთანხმებას ამ ჟამად დაემატა ახალი შეთანხმება ქალ. ხარბინის მმართველობაზე. გაზეთი აქებს ამ შეთანხმებას, რადგან იგი მეტად სასარგებლოა ყველა სახელმწიფოს ვაჭრობისთვის.

თუმცა რუსები დიდხანს განუსაზღვრელად ბატონობდნენ ჩრდილოეთ მანჯურიაში, მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ ეკონომიურად გამაგრება ამ მდიდარ პროვინციაში. რუსებს ისე ქარაფშუტულად მიჰყავდათ საქმე, რომ ხარბინში ჯერ კიდევ ომის დროს დაიკეტა პორთქლის წისქვილები. რუსეთ-ჩინეთის ბანკმა არა თუ არ აუყვავა რუსეთის ვაჭრობა და მრეწველობა მანჯურიაში, პირიქით მთლად დასცა ვაჭრობაცა და მრეწველობაც. ხარბინის მცხოვრებნი დიდი ხანია პროტესტს აცხადებდნენ რუსების თვითნებობას და უხეირო მმართველობის წინააღმდეგ და სურვილს აცხადებდნენ, რომ ხარბინში თვითმმართველობა დაწესებულიყო. სანამ ხარბინში რუსები ბატონობდნენ, ქალაქის სანიტარული მდგომარეობა და საზოგადოებრივი კეთილდღეობა სუსტ კრიტიკასაც ვერ გაუძლებდა.

რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა ჩრდილოეთ მანჯურიაში სუსტი აჩრდილია იმ უთვალავ ძლიერ ბატონობისა, რომელიც მას მოპოვებული ჰქონდა წინად. რაც შეეხება რკინის გზას, იგი თანდათან ხდება საერთაშორისო გზად. ახალი შეთანხმება ხარბინის თაობაზე წარმოადგენს ჩინეთის გამარჯვებას. ამას იქით ჩინეთი თავის ხალხით გაავსებს მანჯურიას, რომელიც რუსების შემოსევის შემდეგ, უფრო ძლიერ დაავსეს და უფრო შეიყვარეს ჩინელებმა.

## ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებად

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო:

სადგურ კარაკლისიდან სვიმონ მეხუზლის მიერ შეგროვილი სადგურის მოსამსახურეთა შორის—3 მ. 25 კ.

შემომწირველთა სია: ფარ. ხიამაშვილი—50 კ. და მაცნიძე—50 კ., თ. ყღენტი—30 კ., ს. და ბეს. ხირბილაძენი—60 კ., დათ. და კოსტ. კალანდაძენი—50 კ. და ხიბ. მეხუზლა—1 მ. (ფოსტის ხარჯის 15 კ. გამოკლებით).

მირიან რუსეიშვილისა და ნოე მიქაძის მიერ შეგროვილი ქუთაისის ნოქრებსა და წვრილ ვაჭრებს შორის—41 მან. 44 კ. გამოკლებულია სხვა და სხვა ხარჯი 2 მ. და 11 კ.

შემომწირველთა სია: თითო მანეთი: კალ. აკობია, მირიან რუსეიშვილი, გრ. ნორაკიძე, პლ. ზენაიშვილი, მიხ. ორაგველიძე, ტრ. ბასილაძე, ვას. ტყემელაშვილი, ნოე მიქაძე, ალ. ხიდაბელი, ხარ. ყენიაძე, ფრანც ეხზანოვი, ან. კილღხანია, ძმები ხა კოვები და ს. წერეთელი; 60 კ.—ნ. კილღსანია; ათ-ათი შაური: ვლ. ცნობილაძე ნეს. კვარაცხელია, მიხ. კემულარია, ივ. მეფისოვი. სმ. გოგიბერიძე, ვარ. იოსელიანი, ივ. ტრაპაიძე, კოს. აგალიშვილი, ვლ. წულაძე, ივ. ხოჯაშვილი, მელ. აზდალაძე, მელ. ბერიშვილი, ალ. დოლიძე, პრ. გეგენავა, ილ. ჩხეიძე, მაშ. გაბუნია, ივ. კოხიანიძე, მიხ. კაბანაძე, იოს. გუგუნავა, ემელ. წულაძე, ვ. ფაცყელია, ნიკ. ლექეთაძე, იოს. გვეტაძე, თ. გაგუა, მელ. ასათიანი, ნეს. ჭიმკარიანი, ფარ. ყუფარაძე, კირ. ტამჯანიძე, ის. ჯიქია, კ. ცაგარელი, ქიჯა ბურჭულაძე, ნ. ლორია, გიორ. ცინცაძე, თეოფ. ალავიძე, ალ. ჩიხლაძე, სერ. ჩირაძე; 40 კ.—მიხ. შარა იძე; 30 კ.—ვარ. ბალანჩივაძე და სევ. იოსელიანი; 10 კ.—ილ. წიქორაძე; 15 კ.—ლ. ნობაძე 30 კ.—იაკ. ელიბაძე, მიხ. დემურია, ბეს. გაბუნია; პორ. ბერიშვილი—20 კ., ბურჯანაძე—25 კ. აქვ. კვარაცხელია—30 კ. შავდია 10 კ., ერ. მოწაფეა 15 კ., კოხერი ჯამი 20 კ., კოწია ბახტაძე 30 კ., პლ. ჯიქიძე 15 კ., იოს. მელია 20 კ., იოს. ბალანჩივაძე 30 კ. თეოფ. ჯიქიძე 30 კ.

ფეხსაცმელების მომუშავეების მიერ შეგროვილი:

ნესტორ ფრუიძე 50 კ., მელ. ჩირაძე 25 კ., გრ. ბეგალოვი 25 კ., მეთ. ჩარხიანი 25 კ., ალ. ფხაკაძე 25 კ., ლ. ზვადაძე 25 კ., აბულაძე 25 კ., იორამ რევიშვილი 20 კ., ერ. ჯოფხაძე 20 კ., ვ. ნასარიძე 20 კ., თევ. პერესელიძე 40 კ., კ. გოცირიძე 25 კ., ვარ. ასათიანი 25 კ.

სლესარ მუშებში შეგროვილი:

ივ. გურიელიძე 40 კ., ვლ. ცანცავა 20 კ., ვ. სხირტლაძე 50 კ., იას. ღმანაძე 50 კ., ი. ჯანელიძე 15 კ., ანდრო 20 კ., სანდრო ხულაქველიძე 25 კ., ნიკ. კახეთელიძე 20 კ., ნიკ. დოლაბერიძე 30 კ., გიორგი კეპულაძე 20 კ. და თეოფილე დოლიძე 20 კ.

სერგეი ჯაფარიძისაგან 10 მ. და „დროების“ რედაქციისაგან 11 მ. 65 კ. (შემომწირველთა სია დაბეჭდილი იყო „დროების“ მე-129 ნომერში). იქიდანვე მივიღე მღვდლისაგან გადაცემული 50 კ.

სულ 66 მ. 84 კ. დღემდე იყო 1290 მ. 68 კ. სულ შესდგა 1357 მ. 52 კ.

## წერილი რედ. მიმართ

„დროება“-ში წავიკითხე „კარგად ნაცნობ ვექილის“ წერილები ალ. ჯაბადარისადმი და მინდა გურულების ფულის შესახებ საზოგადოებას (თითონ გურულებმა ეს კარგად იციან) გამცნო, რომ გადასახლებულთათვის შეგროვილი ფული არის, ჯაბადარს გარდა, კიდევ „ისნის“, „ლამპრის“ და „ივერიის“*) რედაქციებში, მაგრამ რამდენია და როდის გადმოსცემენ, ეს ვერ შევიტყვეთ და არც ნაწილ-ნაწილად იძლეოდნენ, რასაც ალ. ჯაბადარი უოველთვის ასრულებდა და ხანდახან გაჭირებულ, უნებურად გადმოხვეწილ გურულებს ეს ფული მართალ დახმარებასაც უწევდა.

რაც შეეხება იმას, ვითომ მთელ გადამწვარ გურულებს რწმუნებული არა ჰყავდეთ, როგორც ამბობს „ნაცნობი ვექილი“, ეს არ არის მართალი. ყველა სოფლების გადამწვართაგან, გარდა ხიდისთავისა, მე მქონდა მინდობილი ამ საქმის წარმოება, ე. ი. ფულის აღება და გაგზავნა და დღემდისაც მაქვს იმათთან ამის საქმის შესახებ მიწერ-მოწერა. მხოლოდ ამ რამდენიმე თვის წინად ამათგან მ რტო 30 კაცს მიეცა ვექილობის ქაღალდი ერთის კაცისათვის,

რადგან გურულები ყოველთვის მთხოვდნენ, ფულს ხელზე ნურავის მისცემთ, თუ ვინმე გამოგცეს, და პირდაპირ ჩვენ სახელზე გამოგზავნეთ, მეც ამ ერთი თვის წინად სწორედ ასე მოვიქეცი და ჯაბადრისაგან მოცემული ფული გავუგზავნე იმათ, ვისაც ჯერ სრულიადაც არ ჰქონია ფული მიღებული. **ნინო ნაკაშიძე.**

*) „ივერიაში“ კი ვიცით რამდენია, „ლამპარში“ გვითხრეს ხამაზედ მეტიაო, მაგრამ ანგარიში არ გვინახავს.

---

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ შემდეგ წერილს.

„დროების“ მე-129 ნომერში ზოგიერთა წევრები სთხოვდნენ ტფილისის სამარხ კასსის გამგეობას პასუხს: რატომ ოთხის წლის განმავლობაში კრებას არ ახდენთო. ვრცლად ამ საგანზე წერა ეხლა მეტად მიაჩნია გამგეობას, რადგან ძალიან მოკლე ხანში განზრახულია საზოგადო კრების დანიშვნა, სადაც ყოველივე დაწვრილებით იქნება მოხსენებული, და ეხლა კი მხოლოდ ამას მოვახსენებთ ბ-ნ კასსის წევრებს, რომ დღევანდელ გამგეობას მონდობილი აქვს საქმის წარმოება 1907 წლის 18 თებერვლიდან, ე. ი. სულ ორი წელიწადია მას აქეთ. შარშან თუმცა ყოველივე მომზადებულ იყო კრებისათვის, მაგრამ გამგეობის წევრთაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, რომელზედაც აქ უხერხულია ლაპარაკი, კრება ველარ დაინიშნა, წრეულ კი ორივე წლის ანგარიში მიცემულია უკვე დასასტამბად და დამზადებისათანავე დანიშნულ იქნება კრება. მკათათვის პირველს რიცხვებში ამასთანავე გამგეობა საჭიროდ რაცხს წერილობითაც ამცნოს ბ-ნ დავით მხეიძეს, რომ იგი, საწევრო ფულის შემოუტანლობისა გამო, 27 აპრილის ოქმით, ამა წლისა, გარიცხულია წევრების სიიდან.

ტფ. სამარხი კასსის გამგეობის წევრნი: **დეკ. ანტონ თოთიბაძე, დ. დავითაშვილი, ი. მერკვილაძე**

---

ბ-ნო რედაქტორო! „დროების“ მე-137 ნომერში დაბეჭდილ რეცენზიის ავტორი, ბ-ნი № 1 ასეთ სიმართლეს მოკლებულ სტრიქონებს ათავსებს თ. გოგოლაშვილის შესახებ: „15 ივნისს თურმე „ქოჩრიან ტოროლას“ როლის მოთამაშეს ქ-ნ თამარ გოგოლაშვილს —**ავადმყოფობა** მოსდომებია (?) და ფარდის ახდამდის შვიდი საათით ადრე თამაშზე თურმე უარი შ უთვლია, ამბობენ, ვერავითარმა ხვეწნა-მუდარამ და ლოღიკამ ავადმყოფობაზე ხელი ვერ აალებინაო“.

საკვირველია, ბ-ნ № 1-ს ასეთი კატეგორიული განცხადება, როცა მან საქმის ვითარება სრულიად არ იცის და აქ-იქ გაგონილ ჭორებს (ამბობენო და სხვა) ავრცელებს პრესსის საშუალებით. ნამდვილად კი თ. გოგოლაშვილს ექიმისაგან (მანსვეტოვი) აკრძალული აქვს აღელვებას უნდა ერიდოს. მიუხედავად ამისა, იგი დასთანხმდა თამაშს, იმ იმედით, რომ უკედ შეიქნებოდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. წინანდელი (ე. ი. 13-ს), წარმოდგენაში მონაწილეობამ ნათლად დაანახვა, რომ მას ასე დასუსტებულს სცენაზე საპასუხის-მგებლო როლში გამოსვლა არ შეუძლიან, და ეს აცნობა კიდეც სექციას. მერე რა არის აქ ასე სასაცილოდ ასაღები როგორც ეს რეცენზენტს უნებებია? ან განა საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ სახალხო სცენის მუშაკთ ასე მოექცნენ?

**რ. ა—ძე.**

## მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანცისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—113)

ბალი-რესტორანი

◀ ამხანაგობის ▶

„იუჟანე“-სი

სასახლის ქ., ქართულ თავ.-აზნაურთა სახაფხულო თეატრთან. ბალში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბალში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ-სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები“ და „პრეისკურანტები“. ფასები ზომიერია.
телефонъ N 233. (50—გაკ.—14)

ტფილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის

◀ გამგეობა ▶

აცხადებს, რომ ამ ზაფხულს საჭიროა მოიჯარადრე, რომელსაც მიეცემა 15,000 მანეთის სამუშაო სასწავლებელში. პირობების შეტყობა შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში, **ანდრეევის** ქუჩაზე, № 42. (2—6.—2)

სიკვდილი ბაღლინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. აფთიაქებს %. (15—ახ.—9)

კანტორა და საწყობი

„სპერმატინისა“

და

„ა ლ მ ე ზ ი ს ა“

გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—6.—2) **ი. ახობაძე.**

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—76)



Швейныя машины „Кайзеръ"

ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული „**სისტემა ზინგერ**“-**ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს ვამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—48)

პროვოდნიკის

1897 წ. 1888 1908 წ.

ამხანაგობა რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩ., № 4.

იყიდება ნაღდად და ნისიად:

რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,
რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილები,
რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,
იზოლაციონი და საჰაერო კუთვნილები,
რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,
რეზინის სათამაშოები და ბურთები,
რეზინის საგალანტერიო საქონელი,
საშლელი რეზინი „ხპილოს“ მარკისა

ცალობით ვაჭრობა დიდ-მიწაზე საუკეთესო კალოშების

„პროვოდნიკი“-სა